1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	14 380.0	14 380.0	8 038.6	55.9%	160 165.3

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა (საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 133 802 გასვლა);
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა სამცხე-ჯავახეთის რდპ მთავარი სამმართველოს ახალქალაქის დაცვის პოლიციის განყოფილების შენობის რემონტი, აჭარის დპ მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის რემონტი, იმერეთი-გურიის რდპ მთავარი სამმართველოს თერჯოლის, საჩხერისა და ლანჩხუთის ოპერატიული რეაგირების ჯგუფების შენობების რემონტი.
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საავიაციო უშიშროების სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები. გარემონტდა სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 77 ცალი და შეძენილი იქნა 25 ცალი ახალი დაცვის საგუშაგო ჯიხური. დასრულდა სამცხე-ჯავახეთის რდპ მთავარი სამმართველოს ბორჯომის დაცვის პოლიციის განყოფილების შენობის რემონტი;
- 2025 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებულია 15 ერთეული ოპერატიული დანიშნულების მსუბუქი ავტომანქანის ღირებულება.
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დასაცავი ობიექტების პერიმეტრული დაცვისათვის შეძენილ იქნა 600 ცალი საკონტროლო პანელი.
- საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამისა და ცენტრალური დაკვირვების პულტის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა 5 ცალი სერვერი და 15 ცალი სადისპეჩერო სადგური;
- ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანებისათვის შეძენილი იქნა 30 ერთეული საავტომობილო ციმციმა (ხმამაღლა მოლაპარაკით).